შპს თბილაბრეშუმი
TBILSILK LTD

საქართველო, 0141, თბილისი,
დ. გურამიშვილის გამზ. №64
ფაქსი: (+995 32) 2 60 38 40 დირექტორი
ტელ.: (+995 32) 2 61 84 88 კანცელარია
2 60 34 00 ბუღალტერია
ელ. ფოსტა: abreshumi@yahoo.com

Georgia, 0141, Tbilisi
64 D. Guramishvili Av.
Fax: (+995 32) 2 60 38 40 director
Tel.: (+995 32) 2 61 84 88 office
2 60 34 00 bookkeeping
E-mail: abreshumi@yahoo.com

№ 63-15 „18“ 11 2026 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

არქიტექტურის სამასხურში შპს თბილაბრეშუმის (ს/კ 200003174) მიერ შემოტანალი იქნა განცხადება N AR1954891 20. 03. 2023 წ. რომლის საფუძველზეც ორგანიზაციამ მიიღო სასაწყობე ფართზე მშენებლლობის ნებართვა საკ. კოდი . 01.12.01.005.626 (ახალი ს/კ 01.12.01.005.637) ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. 64. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 29.03. 2023 წლიდან 2024 წლის 29. 03-ის ჩათვლით.

ორგანიზაციაში წარმოშობილი სირთულეებისა და პრობლემების გამო ვერ მოხერხდა ზემოთ აღნიშული მშენებლობის დაწყება და საერთოდ არც დაწყებულა.

2026 წლის 23 სექტემბერს ორგანიზაციაში შემოვიდა წერილი შპს თბილსერვის ჯგუფიდან წერილის N 62-01262662924, რომელშიც მითითებულია რომ 2023 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით ჩვენს ორგანიზაციას (აბ N 7400751) ერიცხება მიზნობრივი დასუფთავების მოსაკრებელი 7393 ლარი და 31 თეთრი. აღნიშნულ საკ. კოდზე 01.12.01.005.626 არანაირი მშენებლობა არ განხორციელებულა და არც განიხილება.

ასევე კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას იმ არსებით გარემობაზე რომ მშენებლობა არც დაწყებულა, შესაბამისად, რადგან მოსაკრებელი მიბმულია მშენებარე ობიექტზე და ჩვენს შემთხვევაში ობიექტის მშენებლობა არც დაწყებულა ამ მოსაკრებლის დარიცხვა არაა სწორი და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართეთ შპს “თბილსერვისს ჯგუფს’, რომლმაც 06.11.2026 წლის წერილით მოითხოვა:

- 01.12.01.005.626 (ახალი ს/კ 01.12.01.005.637)კოდზე მდებარე მშენებლობის (ბრძანება #6391900 – 29.03.2023 წ) სამშენებლო ნებართვის ძალადაკარგულად შესახებ, და სამშენებლო ნებართვის ბათილად ცნობის გადაწყვეტილება;

გთხოვთ წარმოგვიდგინოთ არსებული დოკუმენტაცია უმოკლეს ვადაში;

დანართი: 06.11.2026 წლის წერილი

პატივიცემით
შპს თბილაბრეშუმის დირექტორი
---------- ითარ ლომაია